ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა
კომისიის გაერთიანებული სხდომის ოქმი #38

24 იანვარი, 2020 წელი
11:00 საათი
(ბიუროს ოთახი)

ა/წ 24 იანვარს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიების გაერთიანებული სხდომა.
სხდომას ესრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. გიორგი ბირბიჩაძე;
2. გიორგი დოხტურიშვილი;
3. ლილე ლიპარტელიანი;
4. თამარ ტალიაშვილი;
5. მიხეილ ამაშუკელი;
6. ვლადიმერ ძნელაძე.

მოწვეული სტუმარები:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონი გამგებელი ბექა მიქაუტაძე;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი სერგო ბირკაძე.

სხდომის დღის წესრიგი:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03200173-03 (01-01200163671) 17.01.2019);
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილი: 12-0320016133-03 (01-01200163302) 16/01/2020);
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0320016132-03 (01-01200163306) 16.01.2020);

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის წესდების (დებულების) დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-88 დადგენილეის ალადაკარგულად გამოცხადების შესახებ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 მარტის №5-18 დადგენილების" ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილი 12-03200162-03 (01-01200153313) 15/01/2020).

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძე.

გიორგი ბირბიჩაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა. კომისიის წევრებს და მოწვეულ სტუმრებს წარმოუდგინა ქვორუმი და გააცნო დღის წესრიგი. კომისიის წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

- **მოისმინეს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგებლის ბექა მიქაუტაძის ინფორმაცია „დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის" ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის" ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შემუშავება განაპირობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების მიერ ახალ საბიუჯეტო წელს ბინის ქირის კომპენსაციის გაცემის საჭიროებამ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2020 წლის 15 იანვარს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ მიღებული იქნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის" ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის წარდგენის თაობაზე" №20.30.16 განკარგულება.

პროექტით იცვლება წესის სათაური, რათა ის შესაბამისობაში მოვიდეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №51-104 დადგენილებასთან.

წარმოდგენილი პროექტი ასევე ითვალისწინებს წესის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ცვლილებას, რომლის მიხედვითაც კომპენსაციის მიმღებ პირებს, რომლებსაც 2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით (მათ შორის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის თანხმობის საფუძველზე) უნაზღაურდებოდათ დროებითი საცხოვრებელი ფართით

სარგებლობის ქირის კომპენსაცია, 2020 წლის იანვარში დამტკიცებული სიის მიხედვით, გაუგრძელდებათ კომპენსაციის გაცემა არაუმეტეს 2020 წლის ბოლომდე.

პროექტის მე-2 მუხლით ძალადაკარგულად ცხადდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის" ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №35-119 დადგენილება.

წარმოდგენილი პროექტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილია, რომ აღნიშნული დადგენილების მოქმედება ვრცელდება 2020 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დადგენილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

აღნიშნულ პროექთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა კომისიის წევრმა ლილე ლიპარტელიანმა, კერძოდ, განაცხადა, რომ აღნიშნულ წესში პრიორიტეტულ ჯგუფში უნდა დაემატოს 18-21 წლამდე ასაკის პირები რომლებიც ვეღარ სარგებლობენ მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამით.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსის გელა ჩივიაშვილმა წარმოადგინა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.პროექტის პირველი მუხლის „ა" ქვეპუნქტით მტკიცდება **„დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელების წესი"**, რომელიც განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „დაავადებათა სკრინინგი (კოდი: 06 01 02)" (შემდგომში – ქვეპროგრამა) განხორციელების პირობებსა და პროცედურებს. აღნიშნული ქვეპროგრამა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს : ძუძუს კიბოს სკრინინგი 40-70 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი 25-60 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში, პროსტატის კიბოს სკრინინგი 50-70 წლის ასაკის ჩათვლით მამაკაცებში, კოლორექტული კიბოს სკრინინგი 50-70 წლის ასაკის ჩათვლით ორივე სქესისათვის და ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვის პილოტი 25-70 წლის ასაკის ჩათვლით განმახორციელებლის მიერ დამტკიცებული კრიტერიუმების მიხედვით შესაბამისი რისკის მქონე ქალებში.

წესი ასევე მოიცავს ქვეპროგრამის განხორციელების მექანიზმისა და მიმწოდებლის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებს. წესის მე-8 მუხლით დადგენილი ქვეპროგრამის მიმწოდებლისათვის დამატებითი პირობებისა და გარდამავალი დებულების თანახმად, ქვეპროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების განმახორციელებლად შესაძლებელია დარეგისტრირდნენ მიმწოდებლები, რომლებიც აკმაყოფილებენ ამავე წესით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს, ხოლო ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვის პილოტით გათვალისწინებული მომსახურების განმახორციელებელად რეგისტრაცია შეუძლიათ მხოლოდ 2019 წელს მიმწოდებლად რეგისტრირებულ დაწესებულებებს. გარდა ამისა, ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, პროსტატისა და კოლორექტული კიბოს სკრინინგის კომპონენტებით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებელი, იმ კომპონენტების ფარგლებში, რომელთა მომსახურებასაც ახორციელებს, ვალდებულია ყოველთვიურად მომსახურება გაუწიოს ჯამურად არანაკლებ 50 (ორმოცდაათი) მოსარგებლეს, ხოლო

ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვის პილოტით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია ყოველთვიურად მომსახურება გაუწიოს არაუმეტეს 150 (ას ორმოცდაათი) მოსარგებლეს, გარდა საქმიანობის შემმოწმებელი დაწესებულებისა, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს ქვეპროგრამის მიმწოდებლის/მისი კონტრაქტორის ან/და ფილიალის ან/და მობილური გუნდის მიერ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შემოწმებას, გარდა ცენტრის/მისი ფილიალის ან/და მობილური გუნდის მიერ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობისა. შემოწმების განხორციელების ფორმა და მექანიზმი განისაზღვრება ქვეპროგრამის განმახორციელებელთან შეთანხმებით. ცენტრი ყოველთვიურად წარუდგენს ქვეპროგრამის განმახორციელებელს შემოწმების შედეგებს.

წესის მე-7 მუხლის თანახმად, რომელიც ეხება ქვეპროგრამის მიმდინარეობის შემოწმებასა და შესრულებული სამუშაოს ინსპექტირებას, ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ მიმწოდებლისათვის დადგენილი პირობების შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკრძალება ქვეპროგრამაში ჩართვა, დადგენილი პირობების უხეში დარღვევის გამოვლენის შესახებ შესაბამისი დასკვნიდან 1 წლის განმავლობაში.
წესის გარდამავალი დებულების თანახმად კი, 2019 წელს შესრულებული სამუშაო, რომელიც წარმოდგენილი იქნება 2020 წელს ანაზღაურდება 2019 წელს მოქმედი წესის შესაბამისად, ქვეპროგრამის ასიგნებების ფარგლებში, 2019 წელს მომსახურების მიმწოდებლად რეგისტირებული დაწესებულებებისათვის აღნიშნული სტატუსი ავტომატურად გრძელდება 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით, ხოლო 2020 წლის 1 თებერვლამდე დაწყებული მომსახურება, რომელიც საჭიროებდა დამატებით კვლევებს და დასრულდება 2020 წლის 1 თებრვლის შემდეგ, ანაზღაურდება 2020 წელს მოქმედი წესის შესაბამისად.

პროექტის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით მტკიცდება **„გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“**, რომელიც განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი (კოდი: 06 01 03)“ (შემდგომში – ქვეპროგრამა) განხორციელების პირობებსა და პროცედურებს. ქვეპროგრამის მოსარგებელეები არიან საქართველოს მოქალაქეები, ასევე საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირები. აღნიშნული ქვეპროგრამა ფინანსდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი (კოდი: 06 01 03)“ ასიგნებების ფარგლებში.
პროექტის პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტით მტკიცდება **„აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“**, რომელიც განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია (კოდი: 06 01 06)“ (შემდგომში – ქვეპროგრამა) განხორციელების პირობებსა და პროცედურებს. აღნიშნული ქვეპროგრამის მოსარგებლები არიან დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) მიხედვით განვითარების ზოგადი აშლილობების ჯგუფის (F84.0; F84.9) დიაგნოზის მქონე 2-დან 17 წლის ასაკის ჩათვლით საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენენ ქვეპროგრამის ბენეფიციარებს, მიუხედავად

ზემოაღნიშნული დიაგნოზისა. ასევე ის პირები, რომლებიც ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით შესაბამისი დაწესებულებისათვის განცხადებით მიმართვამდე პერიოდში იყვნენ რეგისტრირებული საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტში, მაგრამ განცხადებით მიმართვამდე ბოლო 3 წლის (2 წლის ასაკის ბავშვის შემთხვევაში – ბოლო 2 წლის) განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად, ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში არიან რეგისტრირებულნი, ხოლო თუ ისინი განცხადებით მიმართვამდე პერიოდში არცერთხელ არ ყოფილან რეგისტრირებული საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტში აუცილებელია შესაბამისი დაწესებულებისათვის განცხადებით მიმართვის დროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში იყვნენ რეგისტრირებულნი.

აღნიშნული დანართის მე-5 მუხლი ადგენს ქვეპროგრამაში მოსარგებლეთა ჩართვისა და ვაუჩერის გაუქმების პირობებს, ასევე განსაზღვრავს მიმწოდებელ დაწესებულებაში ვაკანტური ადგილის გაჩენისას პირის მიღების პროცედურას.

დანართის მე-9 მუხლი მიმწოდებლისთვის ადგენს დამატებით პირობებს და განსაზღვრავს, რომ მიმწოდებელს უნდა ჰყავდეს ქცევითი თერაპევტი (10 მოსარგებლეზე არანაკლებ 1 თერაპევტი. ამასთან, თუ ქცევითი თერაპევტი წარმოადგენს სხვადასხვა მიმწოდებლის მიერ დასაქმებულს, მას ჯამში ქვეპროგრამის ფარგლებში უნდა ჰყავდეს 10 მოსარგებლე), რომელიც არის ბავშვის ქცევითი აშლილობების მართვის უნარ-ჩვევების მქონე დიპლომირებული სპეციალისტი ფსიქოლოგიაში ან მომიჯნავე სპეციალობაში (სპეციალური პედაგოგი, პედაგოგი, ოკუპაციური თერაპევტი, ენისა და მეტყველების თერაპევტი, სოციალური მუშაკი) და გავლილი აქვს გამოყენებითი ქცევითი ანალიზის ბაზისური მომზადების საერთაშორისო ან/და ადგილობრივი კურსი, რაც დასტურდება სერტიფიკატით ან/და შესაბამისი დოკუმენტით და აქვს ქცევითი თერაპიის დამოუკიდებლად, ანაზღაურებით ჩატარების სულ მცირე ერთწლიანი სამუშაო გამოცდილება. გარდა ამისა მიმწოდებელს უნდა ჰყავდეს, სულ მცირე, ერთი ქცევითი თერაპევტი (სუპერვაიზერი), რომელსაც აქვს გამოყენებითი ქცევითი ანალიზის საერთაშორისო სერტიფიკატი (BCaBA, BCBA) და არ უნდა წარმოადგენდეს სხვა მიმწოდებლის მიერ დასაქმებულს. აღსანიშნავია, რომ ქვეპროგრამის გამართული ფუნქციონირებისათვის აღნიშნული ქვეპუნქტი არ ვრცელდება 2020 წლამდე მიმწოდებლად რეგისტრირებულ დაწესებულებებზე.

პროგრამაში ახალი დაწესებულების ჩართვისას, პროგრამით გათვალისწინებული ლიმიტის ფარგლებში, უპირატესობა მიენიჭება პროგრამის მიმწოდებელ იმ დაწესებულებებს, რომლებმაც უკვე მიმართეს პროგრამის განმახორციელებელს განცხადებით ბენეფიციარების დამატების შესახებ. ხოლო, ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ მიმწოდებლისათვის დადგენილი პირობების შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკრძალება ქვეპროგრამაში ჩართვა, დადგენილი პირობების უხეში დარღვევის გამოვლენის შესახებ შესაბამისი დასკვნიდან 1 წლის განმავლობაში.

პროექტის პირველი მუხლის „დ“ ქვეპუნქტით მტკიცდება **„C ჰეპატიტის დიაგნოსტიკის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“**, რომელიც განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „C ჰეპატიტის დიაგნოსტიკა (კოდი: 06 01 12)“ (შემდგომში – ქვეპროგრამა) განხორციელების პირობებსა და პროცედურებს. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების

მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები (მ.შ. იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ – ქალაქი თბილისი) და რომლებიც 2019 წლის 1 აგვისტომდე ჩართულნი არიან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამაში „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის“ დიაგნოსტიკის კომპონენტში, ხოლო ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურების მოცულობა გულისხმობს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის“ ბენეფიციარებისათვის (ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად), რომლებსაც ჩატარებული აქვთ კვლევა C ჰეპატიტის ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულების განსაზღვრის მიზნით სწრაფი/მარტივი ან/და იმუნოფერმენტული ანალიზის (იფა) მეთოდით და მიღებული აქვთ დადებითი პასუხი (წარმოდგენილი კვლევის შედეგის საფუძველზე), მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი და მკურნალობის პროცესის მონიტორინგის კვლევების თანადაფინანსებას არაუმეტეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამით“ დადგენილი ტარიფების 30%-ით უზრუნველყოფას. წესი ადგენს ქვეპროგრამით გათვალისიწნებული მომსახურების მიმწოდებლებს და აკონკრეტებს, რომ ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებლად განისაზღვრება პირი რომელიც ამავე დროს არის „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის“ მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულება (შემდგომში – მიმწოდებელი), ეთანხმება ვაუჩერის პირობებს და წერილობით დაადასტურებს ქვეპროგრამაში მონაწილეობის სურვილს. ასევე ადგენს, რომ 2019 წელს მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრირებული დაწესებულებისათვის აღნიშნული სტატუსი ავტომატურად გრძელდება 2020 წელს.

პროექტის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტით მტკიცდება **„ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“**, რომელიც განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ტრანსპლანტაცია“ (კოდი: 06 01 13) (შემდგომში – ქვეპროგრამა) განხორციელების პირობებსა და პროცედურებს. ქვეპროგრამა მოიცავს ძვლის ტვინის (მაღალდოზირებული ქიმიოთერაპია, ძვლის ტვინის (ღეროვანი უჯრედების) ტრანსპლანტაციის წინა კვლევებს, ტრანსპლანტაციასა (აუტოლოგიური ტრანსპლანტაცია, ალოგენური ტრანსპლანტაცია, ჰაპლიოიდენტური ტრანსპლანტაცია), მათ შორის, პოსტტრანსპლანტაციური პერიოდის მართვა) და ღვიძლის ტრანსპლანტაციის კომპონენტებს.

ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის განცხადებით მიმართვამდე ბოლო 1 წლის განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები, მათ შორის ისეთი პირები, რომლებსაც ამ ერთი წლის განმავლობაში შეუწყდათ და კვლავ განუახლდათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია, თუ ამგვარი შეწყვეტის შედეგად

პირი არ დარეგისტრირებულა სხვა მუნიციპალიტეტში, ასევე იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ ქალაქი თბილისი.

აღნიშნული წესის მე-4 მუხლის თანახმად, ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელი საქართველოს ფარგლებს გარეთ არის პირი, საიდანაც მოსარგებლე ქვეპროგრამის განმახორციელებელს წარმოუდგენს მომსახურების დაფინანსებისათვის ანგარიშ-ფაქტურას. ხოლო საქართველოს ფარგლებს შიგნით - პირი (შემდგომში – მიმწოდებელი), რომელიც აკმაყოფილებს ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ დამტკიცებულ სარეგისტრაციო განაცხადით ეთანხმება ვაუჩერის პირობებს, გამოთქვამს ქვეპროგრამის ფარგლებში მონაწილეობის სურვილს და წერილობით, დადგენილი წესით დაუდასტურებს ქვეპროგრამის განმახორციელებელს ქვეპროგრამაში მონაწილეობის სურვილს და საიდანაც მოსარგებლე ქვეპროგრამის განმახორციელებელს წარმოუდგენს მომსახურების დაფინანსებისათვის ანგარიშ-ფაქტურას, ხოლო ღვიძლის ტრანსპლანტაციის კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელია პირი (შემდგომში – მიმწოდებელი), რომელიც აკმაყოფილებს ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ დამტკიცებულ სარეგისტრაციო განაცხადით ეთანხმება ვაუჩერის პირობებს, გამოთქვამს ქვეპროგრამის ფარგლებში მონაწილეობის სურვილს და წერილობით, დადგენილი წესით დაუდასტურებს ქვეპროგრამის განმახორციელებელს ქვეპროგრამაში მონაწილეობის სურვილს და საიდანაც მოსარგებლე ქვეპროგრამის განმახორციელებელს წარმოუდგენს მომსახურების დაფინანსებისათვის ანგარიშ-ფაქტურას.

წარმოდგენილი წესით ასევე დგინდება, რომ ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებლად რეგიტრაციის საკუთარი სურვილით გაუქმების შემთხვევაში, დაწესებულება ვალდებულია აცნობოს განმახორციელებელს აღნიშნულის თაობაზე 2 (ორი) თვით ადრე.

წესის მე-8 მუხლი მიმწოდებელს უდგენს დამატებით პირობებს, რომლის თანახმადაც ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის კომპონენტის საქართველოში გაწევის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია აკმაყოფილებდეს აღნიშნული სერვისის განხორციელებისათვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ჩატარებული ჰქონდეს აღნიშნული ქვეპუნქტით გათვალისწინებული სრული სერვისი სულ მცირე ერთხელ და უზრუნველყოს მომსახურების განხორციელება არაუმეტეს ამ წესის განსაზღვრული ტარიფისა ხოლო, ღვიძლის ტრანსპლანტაციის კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: უზრუნველყოს მომსახურების განხორციელება არაუმეტეს ამ წესით განსაზღვრული ტარიფისა, უზრუნველყოს მომსახურების განხორციელება სპეციალისტის მეშვეობით, რომელსაც წარმატებით აქვს ჩატარებული აღნიშნული მომსახურება საქართველოში მინიმუმ 5-ჯერ.

თითოეული ქვეპროგრამის მიმწოდებლის მიმართ ერთიანი მიდგომის გავრცელების მიზნით, აღნიშნული ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ მიმწოდებლისათვის დადგენილი პირობების შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკრძალება

ქვეპროგრამაში ჩართვა, დადგენილი პირობების უხეში დარღვევის გამოვლენის შესახებ შესაბამისი დასკვნიდან 1 წლის განმავლობაში.

პროექტის პირველი მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით მტკიცდება **„ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“**, რომელიც განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება“ (კოდი: 06 01 07) (შემდგომში – ქვეპროგრამა) განხორციელების პირობებსა და პროცედურებს. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან HER-2 დადებითი ძუძუს კიბოს ადგილობრივად გავრცელებული (I-III სტადია) ფორმის ან HER-2 დადებითი ძუძუს მეტასტაზური კიბოს დიაგნოზის მქონე საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის განცხადებით მიმართვამდე ბოლო 2 წლის განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად, ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულნი, მათ შორის, ისეთი პირები, რომლებსაც ამ 2 წლის განმავლობაში შეუწყდათ და კვლავ განუახლდათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია, თუ ამგვარი შეწყვეტის შედეგად პირი არ დარეგისტრირებულა სხვა მუნიციპალიტეტში ან იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ – ქალაქი თბილისი.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს ამ წესით დადგენილი ტარიფების ფარგლებში შემდეგი მედიკამენტების დაფინანსების უზრუნველყოფას: HER-2 დადებითი ადგილობრივად გავრცელებული (I-III სტადია) ძუძუს კიბოს დიაგნოზის ან რადიკალური ოპერაციის შემდგომ განვითარებული რეციდივის შემთხვევაში – ტრასტუზუმაბი; სიმსივნური კვანძის >2სმ-ზე ან/და ჰორმონუარყოფითი (ER/PR-negative) ან/და დადებითი ნოდალური სტატუსის (N+) შემთხვევაში პერტუზუმაბი+ტრასტუზუმაბი, HER-2 დადებითი მეტასტაზური ძუძუს კიბოს დიაგნოზის შემთხვევაში – ტრასტუზუმაბი ან პერტუზუმაბი+ტრასტუზუმაბი, HER-2 დადებითი მეტასტაზური ძუძუს კიბოს დიაგნოზის შემთხვევაში ლაპატინიბი.

აღნიშნული წესის თანახმად, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს, მედიკამენტი უფინანსდებათ სრულად, თანაგადახდის გარეშე, ხოლო ყველა სხვა მოსარგებლეს მედიკამენტი უფინანსდება ამ წესით დადგენილი ტარიფების გათვალისწინებით მედიკამენტის ღირებულების ლიმიტის 80%-ის მოცულობით (თანაგადახდა შეადგენს 20%-ს), გარდა მედიკამენტი „ტრასტუზუმაბისა“, რომლის შემთხვევაში მედიკამენტი მოსარგებლეს უფინანსდება ამ წესით დადგენილი ტარიფების გათვალისწინებით მედიკამენტის ღირებულების ლიმიტის 50%-ის მოცულობით (თანაგადახდა შეადგენს 50%-ს). ხოლო, თუ ქვეპროგრამით მოსარგებლე, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირს მკურნალობის დასრულებამდე შეუმცირდა სარეიტინგო ქულა, მკურნალობა გრძელდება ცვლილების შესაბამისად.

წესი ასევე ადგენს, რომ 2019 წელს მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრირებული დაწესებულებისათვის აღნიშნული სტატუსი ავტომატურად გაგრძელდება 2020 წელს, გარდა მიმწოდებლის შერჩევის კრიტერიუმებში არსებითი ცვლილებების შეტანის შემთხვევებისა.

პროექტის პირველი მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით მტკიცდება **„ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“** , რომელიც განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება“ (კოდი: 06 01 08) (შემდგომში – ქვეპროგრამა) განხორციელების პირობებსა და პროცედურებს. ქვეპროგრამა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს : მულტისისტემურ ინტერვენციას ბავშვებსა და მოზარდებში (ითვალისწინებს ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის მქონე პირების უწყვეტ მეთვალყურეობასა და მკურნალობის პროცესს სპეციალიზებული მულტისისტემური ინტერვენციის მულტიდისციპლინური გუნდის მიერ) და აქტიურ (ასერტული) ფსიქიატრიული მკურნალობას. პირველი კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების მოსარგებლეა დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების (F06; F20- F25; F31–F33; F40–F45; F90–F95; F98) ჯგუფის დიაგნოზის მქონე 5-17 წლის ასაკის ჩათვლით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქე, ასევე, საქართველოს მოქალაქე იძულებით გადაადგილებული პირი, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ქალაქი თბილისი, ხოლო მეორე კომპონენტით - დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების (F06.0; F06.2; F20-F21; F25; F31; F33) ჯგუფის დიაგნოზის მქონე 18 წლის ასაკის ზემოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქე, ასევე, საქართველოს მოქალაქე იძულებით გადაადგილებული პირი, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ქალაქი თბილისი.

წესის თანახმად, ქვეპროგრამის დაფინანსება ხორციელდება ქვეპროგრამის ასიგნებების ფარგლებში არამატერიალიზებული ფორმის ვაუჩერის მეშვეობით. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელს უნდა გააჩნდეს ქვეპროგრამით განსაზღვრული ყველა მომსახურების განხორციელების, სულ მცირე, ორწლიანი გამოცდილება, გარდა ამისა, მიმწოდებელი უნდა აკმაყოფილებდეს წესით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს, ხოლო ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ მიმწოდებლისათვის დადგენილი პირობების შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკრძალება ქვეპროგრამაში ჩართვა, დადგენილი პირობების დარღვევის გამოვლენის შესახებ შესაბამისი დასკვნიდან 1 წლის განმავლობაში.

პროექტის მე-2 მუხლით ძალადაკარგულად ცხადდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამის განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N35-118 დადგენილება.
წარმოდგენილი პროექტის მე-3 მუხლით დადგენილია, რომ აღნიშნული დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდება 2020 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავჯდომარემ გიორგი ბირბიჩაძემ ითხოვა და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია დაეთანხმა:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში შესწორდეს ტექნიკური ხარვეზი და აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ნაცვლად იკითხებოდეს აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია.

ხოლო, საკითხის წარმომდგენმა ითხოვა და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია დაეთანხმა, ამავე წესში, მუხლი 4. დაფინანსების მეთოდოლოგია და დაფინანსების წესის მე- 2 პუნქტში ნაცვლად ქვეპროგრამის ფარგლებში თვეში ფინანსდება არაუმეტეს 1000 (ათასი) ბენეფიციარი იკითხებოდეს, ქვეპროგრამის ფარგლებში თვეში ფინანსდება არაუმეტეს 1230 (ათასორასოცდაათი) ბენეფიციარი.

- **ასევე საკითხის წარმომდგენმა კომისიის წევრებს** მიაწოდა ინფორმაცია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე. პროექტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მტკიცდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი (შემდგომში - პროექტი) .

პროექტის პირველი მუხლის „ა“ პუნქტით მტკიცდება **„სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარების“ (კოდი: 06 02 25) განხორციელების წესი”, რომელიც** განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარების“ (კოდი: 06 02 25) ქვეპროგრამის განხორციელების პირობებსა და პროცედურებს. აღნიშნული წესის მე-2 და მე-3 მუხლები დეტალურად განსაზღვრავს ქვეპროგრამის მოსარგებლეთა წრეს და ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების მოცულობას, ასევე აღწერს ქვეპროგრამაში ჩართვისათვის აუცილებელ პროცედურას. წესის წარმოდგენილ რედაქციაში დაკონკრეტებულია, როგორც ყოველი ახალშობილის შეძენის შემთხვევაში 500 (ხუთასი) ლარიანი დახმარების მიღების, ასევე მესამე, მეოთხე, მეხუთე და შემდეგი ახალშობილების შემთხვევაში შესაბამისი ფულადი დახმარების მიღებისათვის აუცილებელი პროცედურა.

პროექტის პირველი მუხლის „ბ“ პუნქტით მტკიცდება **„100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარების“ ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 05) განხორციელების წესი“**, რომლითაც განისაზღვრება ქვეპროგრამის მოსარგებლეების კატეგორიები, ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების მოცულობა და ანგარიშგების პირობები. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 წლის და მეტი ასაკის პირები, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტირებული 100 წლის და მეტი ასაკის იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ქალაქი თბილისი. ფულადი დახმარება განისაზღვრება 1000

(ათასი) ლარის ოდენობით ერთჯერადად, საბიუჯეტო წლის განმავლობაში, მოსარგებლის ან მისი უფლებამოსილი პირის მიერ წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე.

პროექტის პირველი მუხლის „გ" პუნქტით მტკიცდება **„სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარების" ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 02) განხორციელების წესი"**, კერძოდ ქვეპროგრამის მოსარგებლეების კატეგორიები, ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების მოცულობა, ქვეპროგრამაში ჩართვის პირობები და ანგარიშგების ფორმა. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000–ს და აღნიშნული ბაზის მიხედვით ოჯახში ფიქსირდება 3 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი. ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარების მიმღებს წარმოადგენს ოჯახი. ყოველ 18 წლამდე ბავშვზე, ყოველთვიურად გაიცემა ფულადი დახმარება 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

წარმოდგენილი რედაქციით, წესის მე-3 მუხლის მესამე პუნქტი განსაზღვრავს მომსახურე ბანკში პროგრამის მოსარგებლე ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის აქტიური საბანკო ანგარიშის არარსებობის პერიოდში ოჯახისათვის ჩაურიცხავი თანხების ჩარიცხვის შესაძლებელობასაც და ადგენს, რომ ჩაურიცხავი თანხების ჩარიცხვა შეიძლება განხორციელდეს ერთდროულად, მომსახურე ბანკიდან უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელზე არსებული აქტიური ანგარიშის შესახებ ინფორმაციის მოწოდების თვეში, მაგრამ არაუმეტეს ბოლო 6 თვის თანხისა.

პროექტის პირველი მუხლის „დ" პუნქტით მტკიცდება **„სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების (კოდი: 06 02 22) და სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარების" (კოდი: 06 02 24) ქვეპროგრამების განხორციელების წესი"**, რომლითაც განისაზღვრება ქვეპროგრამების მოსარგებლეების კატეგორიები, ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების მოცულობა, ქვეპროგრამაში ჩართვის პირობები და ანგარიშგების ფორმა.

აღნიშნული წესით გათვალისწინებული ქვეპროგრამების მოსარგებლეები არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" ქალაქ თბილისში რეგისტრირებული ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს და ოჯახში ფიქსირდება 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ან მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირი.

სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება შეადგენს ჯამურად წელიწადში 800 (რვაასი) ლარს. ფულადი დახმარება გაიცემა ორ ნაწილად, მაისში და დეკემბერში, თითოეულ თვეში 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით, ხოლო სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირებისათვის გათვალისწინებული ქვეპროგრამის ფარგლებში - ჯამურად წელიწადში 900 (ცხრაასი) ლარი. ფულადი დახმარება გაიცემა სამ ნაწილად, მაისში, აგვისტოსა და დეკემბერში, თითოეულ თვეში 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

აღნიშნული ქვეპროგრამების მოსარგებლეებისათვის ფულადი დახმარების გაცემა ხორციელდება სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც ადასტურებს „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში“ პირის რეგისტრაციის ფაქტს, კუთვნილი თვეების ფულადი დახმარება ასევე გაიცემა წლის განმავლობაში წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე.

„სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების“ ქვეპროგრამით გათვალისწინებული ფულადი დახმარების მიმღებად განისაზღვრება პირი, რომელიც „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში“ დაფიქსირებულია, როგორც „ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი“. ასეთი პირის არარსებობის შემთხვევაში ფულადი დახმარების მიმღებად განისაზღვრება ოჯახის უხუცესი წევრი „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ დაფიქსირებული მონაცემების მიხედვით. ბენეფიციარის მომართვის შემთხვევაში თანხის მიმღები პირი შესაძლებელია იყოს 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი, ხოლო სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარების ქვეპროგრამით გათვალისწინებული ფულადი დახმარება გადაირიცხება უსინათლო პირის პირად საბანკო ანგარიშზე.

პროექტის პირველი მუხლის „ე“ პუნქტით მტკიცდება **„უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში“ (კოდი: 06 02 06 01) და „უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში“ (კოდი: 06 02 06 02) ქვეპოგრამების განხორციელების წესი“**, კერძოდ ქვეპროგრამის მოსარგებლეების კატეგორიები, ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობა, ქვეპროგრამის განხორციელების მექანიზმი, ქვეპროგრამაში ჩართვის პირობები და ანგარიშგების ფორმა. ამასთან, პროექტით გათვალისწინებულია ბენეფიციარისათვის მომსახურების მიწოდების შემოწმების, საანგარიშგებო დოკუმენტაციის ინსპექტირებისა და ანაზღაურების წესი, ცხრილის სახით თანდართულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის მოსწავლეთა თვიური ლიმიტის ოდენობები.

პროექტის პირველი მუხლის „ვ“ პუნქტით მტკიცდება **„უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში” (კოდი: 06 02 06 03) ქვეპროგრამის ფარგლებში „სოციალურად დაუცველი მოსწავლეების საცურაო აუზებში სწავლების ღირებულების ანაზღაურების წესი“**, რომლითაც განისაზღვრება ქვეპროგრამის მოსარგებლეების კატეგორიები, ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობა, ქვეპროგრამის განხორციელების მექანიზმი, მოსარგებლეების ქვეპროგრამაში ჩართვის პირობები, ვაუჩერის პირობები, ანაზღაურება და ანგარიშგების წესი. ამასთან პროექტით გათვალისწინებულია ბენეფიციარისათვის მომსახურების მიწოდების შემოწმების, საანგარიშგებო დოკუმენტაციის ინსპექტირებისა და ანაზღაურების წესი. განსაზღვრულია მიმწოდებლის დამატებითი კრიტერიუმები. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, მომსახურების ხანგრძლივობა შეადგენს 3 თვეს, რომლის ვადის გაგრძელების შესაძლებლობასაც არ ითვალისწინებს წესი.

მომსახურების უწყვეტობის მიზნით, 2019 წელს მიმწოდებლად რეგისტრირებულ პირს/ორგანიზაციას აღნიშნული სტატუსი ავტომატურად უგრძელდება 2020 წელს, თუმცა კრიტერიუმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ექვემდებარება გადამოწმებას.

პროექტის პირველი მუხლის „ზ“ პუნქტით მტკიცდება **„შინმოვლის თანადაფინანსების“ (კოდი: 06 02 26) ქვეპროგრამის განხორციელების წესი“**, რომლითაც განისაზღვრება ქვეპროგრამის მოსარგებლეების კატეგორიები, ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობა, ქვეპროგრამის განხორციელების მექანიზმი, მოსარგებლეების ქვეპროგრამაში ჩართვის პირობები და ანგარიშგების წესი. ამასთან, პროექტით გათვალისწინებულია ბენეფიციარისათვის მომსახურების მიწოდების შემოწმების, საანგარიშგებო დოკუმენტაციის ინსპექტირებისა და შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების პროცედურა. წესის წარმოდგენილ რედაქციაში აღინიშნა, რომ პაციენტთან განსახორციელებელი მინიმალური (თვეში) ვიზიტების რაოდენობა ატარებს მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათს და ვიზიტების რაოდენობა შეიძლება შეთანხმებულ იქნეს თავად პაციენტთან.

პროექტით ასევე გათვალისწინებულია მიმწოდებლის დამატებითი კრიტერიუმები, ბართელის კითხვარი და თანხმობის ბარათის ფორმა. ამასთან უწყვეტობის მიზნით, 2019 წელს მიმწოდებლად რეგისტრირებულ პირს/ორგანიზაციას აღნიშნული სტატუსი ავტომატურად უგრძელდება 2020 წელს, თუმცა კრიტერიუმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ექვემდებარება გადამოწმებას.

წარმოდგენილი პროექტით ძალადაკარგულად ცხადდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №35-117 დადგენილება.

- **მოისმინეს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურის უფროსის სერგო ბირკაძის ინფორმაცია ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის წესდების (დებულების) დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-88 დადგენილებისა და ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 მარტის №5-18 დადგენილების“ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე. პროექტის თანახმად, ,,საქართველოს ორგანულ კანონში ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად (მიღების თარიღი: 18.10.2019, N5204), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებებიდან ამოღებულ იქნა გადაუდებელი სასწრაფო დახმარებით უზრუნველყოფის უფლებამოსილება და განისაზღვრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის, რეორგანიზაციის გზით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრთან მიერთება არაუგვიანეს 2020 წლის 1 იანვრისა.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი ჩაითვალა საჯარო სამართლის

იურიდიული პირის – სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის უფლებამონაცვლედ ყველა სახის ურთიერთობაში, ხოლო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან კოორდინაციით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის შემდგომი ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 11 ივნისის N01-50/ნ ბრძანებაში განხორციელებული ცვლილების საფუძველზე, 2020 წლის პირველი იანვრიდან სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი უკვე შეუდგა მასზე დაკისრებული უფლებამოსილებების განხორციელებას, მათ შორის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

პროექტით ძალადაკარგულად ცხადდება ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის წესდების (დებულების) დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-88 დადგენილება.

ასევე, პროექტით ძალადაკარგულად ცხადდება ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 მარტის №5-18 დადგენილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსის გელა ჩივიაშვილის თქმით დედაქალაქის მთავრობისა და თბილისის წარმომადგენლობითი ორგანოს ერთობლივი ძალისხმევით 2020 წლის მარტიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამებს დაემატება გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგამა.

წარმოდგენილ პროექტებს დაეთანხმა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისია.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

<u>კომისიამ დაადგინა</u>

პროექტი წარმოდგნილი ცვლილებებით განხილული იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის უმრავლესობის დადებითი რეკომენდაციით.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძე